საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/11

ქ. ბათუმი 10 მარტი, 2022 წ.

ბსუ-ს N4 კორპუსში მდებარე ფართის სტამბის ფუნქციონირებისათვის იჯარით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის N01-10/77 ბრძანების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 4 მარტის N226887 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბსუ-ს N4 კორპუსში (ქ. ფიროსმანის ქ. N12), ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობის პირველ სართულზე არსებული ფართის - 195,2 კვ.მ. (მასში განთავსებული აღჭურვილობით და კონტეინერით დანართი-1-ის მიხედვით) სტამბის ფუნქციონირებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის წესით, 2 (ორი) წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე.
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი დავით ბარათაშვილი

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №07-01/11 გადაწყვეტილების დანართი 1

აღჭურვილობის დასახელება	რაოდენობა
ნოუთბუქი acer	4
ნოუთბუქი lenovo	1
risograf A2 format	1
risograf RZ570EP A3 format	1
რიზოგრაფის ბარაბანი RZ A3	2
რიზოგრაფის ბარაბანი risograf RZ570EP	1
ციფრული საბეჭდი დანადგარი XANTE IMPRESSIA	1
UV ბეჭდვა ROLAND DESKTOP UV PRINTER LEF-12	1
საბეჭდი საჭრელი პლოტერი ROLAND WIDE FORMAT COLOR MAKER VS-640i	1
რულონური royal sovering	1
წიგნის მაგარ ყდაში ჩასასმელი დანაგარი schmedt	1
A3ფორმატის ლამინატორი deli 3892	1
თერმოასაკინძი დანაგარი bourg binder 3002	1
ქაღალდის საჭრელი ხელის ideal 3905	1
ცხელი საბეჭდ-საკეცი პრესი OPUS PASTERPRESS-01	1
წიგნის ძაფსაკერი დანადგარი BREHMER	1
პოლიგრაფიული მავთულ საკერი დანადგარი	1
ქაღალდის საჭრელი გილიოტინა wohlenberg	1
ფორმების გასამზადებელი დანადგარი GLUNZ & JENSEN	1
ფორმების დასამზადებელი დანადგარი CTP SCREEN PLATE RITE RT-R4300 E	1
სტანდარტ.პერსონ.კომპიუტერი კომპლეტ.	1
საბეჭდი დანადგარი RYOBI 662H	1
ქაღალდის საჭრელი დანადგარი გილიოტინა WOHLENBERG -Cut-Tec 76-ისათვის დანა)	1

მტვერსასრუტი	1
UPS	2
კონტეინერი	1
მაგიდა	23
მაგიდა კომპიუტერის სქელი ზედაპირით 4 უჯრიანი	5
მაგიდა აუდიტორიის,ლამინატის	9
სკამი სტუდენტის	11
მაგიდა აუდიტორიის რკინის სადგამით	1